განკარგულება:**g-37. 372530311**
თარიღი:**30/10/2025**

განკარგულება N57

30 ოქტომბერი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის №4 სხდომის ოქმი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი ტატა ბარამიძე.

მუხლი 2. მიღებული განკარგულების თაობაზე ეცნობოს:

1. სსიპ ,,ანტიკორუფციულ ბიურო"-ს;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი